



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
7 ივნისი, 2016

ინტერ რაომ მტკვარი ენერგეტიკა (მეცხრე ბლოკი) გაყიდა. მეცხრე ბლოკი საერთაშორისო ინვესტორთა კონსორციუმმა შეისყიდა; ინვესტორთა შორის არის საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფიც (GIG). კონსორციუმში შემავალი სხვა ინვესტორების ვინაობა და გარიგების დეტალები ჯერჯერობით საჯარო არ არის. ინტერ რაო საკუთრებაში იტოვებს ჰიდროგენერაციის ობიექტებსა და გამანაწილებელ ქსელს (თელასი).

ჯორჯიან მანგანუმა (GM) 2016 წლის მაისის ბოლოდან სამთომოპოვებითი სამუშაოები განაახლა. GM საქართველოში ელექტროენერგიის ბაზარზე უმსხვილესი პირდაპირი მომხმარებელია. 2015 წლის განმავლობაში ქვეყნის მოხმარების შენელება ნაწილობრივ დაკავშირებული იყო GM-ის მიერ შემცირებულ მოხმარებასთან, რომელიც, თავის მხრივ, სილიკონ მანგანუმზე დაბალი ფასებითა და ნედლეულის ჭარბი მარაგით იყო გამოწვეული. GM-ის მიერ მოპოვებითი სამუშაოების განახლების შედეგად, ივნისში მოსალოდნელია ელექტროენერგიის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდა.

ენერგეტიკის სამინისტრო მზად არის ახალ ჰეს-გბთან მიმართებაში არსებულ სატარიფო პოლიტიკას გადახედოს. არსებული სატარიფო პოლიტიკის მიხედვით, ინვესტორებთან გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ფორმდება, რომლის თანახმადაც ბაზრის ოპერატორი (ესკო) სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით გენერაციის ობიექტების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 100%-ს შეისყიდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასად. ინვესტორები, თავის მხრივ, ვალდებული არიან აღნიშნულ პერიოდში წარმოებული ელექტროენერგია სრულად მიჰყიდონ ესკოს. 2015 წლის ნოემბერში, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ეწვია, მისიის წარმომადგენლებმა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები საქართველოს ფისკალური მდგრადობისთვის რისკის ფაქტორად დაასახელეს. სავალუტო ფონდი კონსულტაციას უწევს ენერგეტიკის სამინისტროს ახალი სატარიფო პოლიტიკის შემუშავებაში.

17 მაისს საბერძნეთში საფუძველი ჩაეყარა ტრანს-ადრიატიკული მილსადენის (TAP) მშენებლობას. TAP-ის მშენებლობის დაწყება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია სამხრეთის გაზის დერეფნის განვითარების გზაზე. სამხრეთის გაზის დერეფნის მიზანს წარმოადგენს აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ევროკავშირისათვის მიწოდება საქართველოსა და თურქეთის გავლით. ტრანს-ადრიატიკული მილსადენი ჩრდილოეთ საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით იტალიამდე მიადგვს. TAP-ის მშენებლობის დასრულების ვადად 3.5 წელია განსაზღვრული. აღსანიშნავია რომ ბუნებრივი აირი აზერბაიჯანიდან თურქეთს (საქართველოს გავლით) სამხრეთ კავკასიის მილსადენის საშუალებით მიეწოდება, რომელიც სამხრეთის გაზის დერეფნის ნაწილია. საქართველოში დაწყებულია სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების სამუშაოები (SCPx), რომლის საერთო საინვესტიციო ღირებულება 2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. გაფართოების სამუშაოების დასრულების შემდგომ, მილსადენის გამტარუნარიანობა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით 16 მლრდ კუბური მეტრით გაიზრდება, ხოლო სანაცვლოდ საქართველო ბუნებრივი აირის ტრანზიტისათვის საკომისიოს სახით ბუნებრივი აირის დამატებით მოცულობებს მიიღებს.

ელექტროენერგიის გამოუმუშავება, მოხმარება და ექსპორტი

ელექტროენერგიის მოხმარება აპრილში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უცვლელი დარჩა. მოხმარება გაზრდილია 1.4%-ით წ/წ 2016 წლის პირველ ოთხ თვეში. აფხაზეთის რეგიონის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის სწრაფი ზრდა მარტში შეწყდა, აპრილში კი წლიურად 12.5%-ით შემცირდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარებას თუ გამოვრცხავთ, 2016 წლის აპრილში ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოში 2.8%-ით არის გაზრდილი, ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი კი თბილისისა და მის შემოგარენში აღნიშნული მოხმარების 6.6%-იანი წლიური ზრდაა. ენერგო-პრო ჯორჯიას აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია აპრილში წლიურად 3.5%-ით არის გაზრდილი, კახეთის ენერგოდისტრიბუციის აბონენტთა მოხმარება კი 2.5%-ით არის შემცირებული. GM-ის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია 2015 წლის აპრილთან შედარებით თითქმის უცვლელი დარჩა (+0.9% წ/წ). 20 მაისს განახლებული მოპოვებითი სამუშაოების შედეგად, მოსალოდნელია, რომ ივნისში GM-ის მოხმარება 2015 წელთან შედარებით შესამჩნევად გაიზრდება, რაც თავის მხრივ ქვეყნის მოხმარების ზრდაზეც აისახება, რადგან GM ჯამური ელექტროენერგიის საშუალოდ 10%-ს მოიხმარს. 2016 წლის აპრილში ელექტროენერგიის ექსპორტი არ დაფიქსირებულა.

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

თამარ ქურდაძე

ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298


ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

აპრილში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	4.7 აშშ ცენტ
აპრილში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.3 აშშ ცენტ
აპრილში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	ექსპორტი არ ფიქსირდება
აპრილში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	5.2 აშშ ცენტ
შიდა მოხმარების ზრდა 4თ16, კვტ/სთ	კვტ/სთ-ზე 1.3%
ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდა 4თ16, კვტ/სთ	ექსპორტი არ ფიქსირდება
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ზრდა 4თ16, კვტ/სთ	ექსპორტი არ ფიქსირდება

* საშუალო გაცვლითი კურსი აპრილში GEL/US\$ = 2.2652; TRY/US\$ = 2.8347




გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ/სთ



წყარო: ესკო


გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ/სთ)



წყარო: ესკო


საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობა 2016 წლის აპრილში 3.4%-ით შემცირდა, რისი მიზეზიც ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის შემცირება გახდა. ქვეყნის ელექტროენერგიის ორი უდიდესი მწარმოებლის, ენგურისა და ვარდნილის, ჯამური გამომუშავება აპრილში წინა წელთან შედარებით 31.0%-ით არის შემცირებული, რაც ნალექის ნაკლებობით არის გამოწვეული. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თბოელექტროსადგურების გამომუშავება (+36.5% წ/წ). თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 79.0% გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოსადგურზე მოდის, დანარჩენი კი თბილისრესსა და ტყიბულის ქვანახშირის თბოსადგურებს შორის ნაწილდება. მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმპორტირებული ელექტროენერგია (-41.3% წ/წ), რომლის 93.4% აპრილში რუსეთიდან შემოვიდა. იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასმა კვტ/სთ-ზე 5.2 აშშ ცენტი შეადგინა. მიუხედავად იმისა რომ საერთო ჯამში ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შემცირდა, აპრილში გაზრდილია დერეგულირებული ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის როგორც რაოდენობა (+18.4% წ/წ) ასევე წილი ჰიდროგენერაციაში (16.9% - 2016-ში, ხოლო 13.0% - 2015-ში). დერეგულირებული ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ზრდის ტენდენცია ბოლო რამდენიმე წელია გრძელდება და ჰიდროგენერაციის ობიექტების განვითარებასთან არის დაკავშირებული. ახალი ჰიდროგენერაციის ობიექტების მშენებლობასთან ერთად მოსალოდნელია აღნიშნული ტენდენციის გაგრძელება მომავალში.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰესების გამომუშავება, გვტ/სთ




წყარო: ესკო



ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში


2016 წლის აპრილში, ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში წლიურად 13.2%-ით არის გაზრდილი. 13-თვიანი დადმავალი ტენდენციის შემდეგ, აშშ დოლარში გამოსახული ფასი თურქულ ზაზარზე პირველად გაიზარდა, თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტორია 2015 წლის აპრილის დაბალი ზაზა, როდესაც საბაზრო ფასი 2014 წლის აპრილთან შედარებით 50%-ით იყო შემცირებული. მიუხედავად ამისა, ფასის ზრდა ინვესტორებისათვის, რომლებიც თურქულ ზაზარზე არიან ორიენტირებულნი, დადებითი სიგნალია. საქართველოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი 22.8%-ით, 4.7 აშშ ცენტამდე, არის შემცირებული. საბალანსო ელექტროენერგიამ აპრილში ნავაჭრი ელექტროენერგიის 17.6% შეადგინა. ელექტროენერგიის დიდი ნაწილი კვლავაც ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე ივაჭრება. საბალანსო ელექტროენერგიის დიდი ნაწილი, რამაც ფასზე იქონია გავლენა, ჰეს-ებიდან იყო შესყიდული. თბოსადგურების მიერ გამოძეგვებულმა და იმპორტირებულმა ელექტროენერგიამ კი საბალანსო ელექტროენერგიის 14.2% და 16.1% შეადგინეს.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შთაბეჭდილება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირაკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რამენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდეს რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია მისი მიზნებისთვის, რომელიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი--ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი

ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი

გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

დავით ნინიკელაშვილი | dnikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი

დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი

თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge